სახალხო გაზეთი

№ 848 კვირა, 17 მარტი 1913 წ. № 848

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

126

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ. ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2 **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**

3 **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". п. ящ. 190.**

დღეს, 17 მარტს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი სარატოვის საკატორღო ციხეში გარდაცვლილ

ზაქარია ივანეს ძე ქვლივიძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი **მარიამ მიხეილის ასული, დედა ეკატერინე გრიგოლის ასული,** ძმები: **გრიგოლი, დავითი და იოსები და და სოფიო.** წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. 160

მღვდელი ანტონ და ძმები მისი დიმიტრი და ივანე ზოსიმეს ძე ცეცხლაძეები უგულითადეს მადლობას სწირავენ იმ პირთ, რომელთაც დეპეშებით, წერილებით და პირადად მიუსამძიმრეს პირველს—საყვარელი მეუღლის, ხოლო მეორეთ—ძვირფასი რძლის

მათიკო დავითის ასულის ცეცხლაძის

გარდაცვალების გამო. 161

ახალი კლუბის მამასახლისთა

საბჭო

ამით აცხადებს, რომ გაგრძელება

წლიური საზოგადო კრებისა

წევრების და მუდმივ მოსიარულეთა ასარჩევად

დანიშნულია კვირას, 17 მარტს, შუადღის 12 საათზე. 1092

საზოგადო კრება

ტფილისის სამეურნეო ბანკის წევრთა,

ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 8 მარტისათვის იყო დანიშნული და წევრთა საკმარ. რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა, ხელმეორედ ინიშნება **კვირას, 24 მარტს, დილის 10 საათზე,** სამეურნეო ბანკის სადგომში. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება ანგარიშის შესახებ; 2) საბჭოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 4) 1912 წლის ანგარიში; 5) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 6) მოხსენება საბჭოსი საზოგადოებისათვის საკუთარ სახლის შეძენის შესახებ და 7) არჩევნები გამგეობის წევრისა, ნაცვლად გ. თ. ყიფშიძისა, რომელსაც ვადა სამსახურისა გაუთავდა, საბჭოს წევრისა თავ. მ. დ. ჭავჭავაძის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე ვადა გაუთავდა, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის მათის კანდიდატისა. 1111

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **ბ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია** ზუბუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. ტელეფ. კუთხე) 79

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

აუწყებს წევრებს, რომ კვირას, 17 მარტს 1913 წ., ნაშუადღევის 3 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო კრება

გადასაწყვეტად შემდეგ განსახილველ საგნებისა:

1. საზაფხულო სეზონისათვის დასის მოწყობა.
2. თეატრის შეკეთება და გალამაზება.
3. საზაფხულო ბაღის გაშენება.

კრებაზე დასწრება შეუძლიან მხოლოდ წრის სრულ-უფლებიან წევრებს. 1029.

ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას**

,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში''

ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა ,,იმერეთში'', **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში** - მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **შესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში'' ,,მოამბის'' ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

Общество

Кахетинскихъ садовладѣльцевъ

„Кахетія"

въ Тифлисѣ

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ ВЪ 1895 Г.

№

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს

უ-მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,

,,კახეთი'' საზოგადოება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით. 1054

ქარხნის **მარკა**

კონიაკი და ლიქორი

ს. ს. შამრიარსკისა

ტფილ სი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

საზღვარ-გარეთული

მამაკაცთა პალტოები,

სამგზავრო და სასპორტო ტანისამოსი, შლიაპები (კოტელოკები) უკანასკნელის ფასონისა

მიიღო

ძმ. ალიხანოვის ამხანაგ.

სასახლის ქუჩ, ტელეფ. № 477. 1112

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

,,ნაკადულ''-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად **5** მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ. საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ,,ბიძია თომას ქოხი'',** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში სასახლის ქუჩა.

ზიაში რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი**

ფირმა არსებობს 1860 წლიდან

კონიაკი

ძმათა ფორერის საკუთარ ქარხნისა,

მოიკითხეთ ყველგან.

პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 1910 წ. რუსულ კონიაკის

საუკეთესო ხარისხისათვის ფირმამ ოქროს მედალი მიიღო. 1072

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი** ვ. შ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი** კ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი** ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი** გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. **ფარადჟევი** რ. ა. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშოსნო სნეულებანი.	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფიროსოვისა** ლ. (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე** ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. **ხუსკივაძე** ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ზაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი** ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**ზედგენიძე** მ. ა. (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი** ნ. ნ. (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი**, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი** ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½ **თრემბოვსკი** ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი** ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე** ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემავალი საფასურით. წ. 1035

საგურთალოზე

მშვენიერ ადგილას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით. 1053

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ვასწავლი

ქართულ

სიმღერა - გალობას

და ვადგენ **100** კაცისაგან შემდგარ გუნდს. **თამარ მეფის 700 წ. სადღესასწაულოდ.** გუნდის შესახებ მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერვა **მიხეილ კავსაძესთან,** ოთხშაბ. შაბ. და კვირაობით 5—7 საათამდე: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29. 125

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

ბოგუსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

ცხლამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12 — საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვეხელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. საღ. 4—5 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ეროვნული

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჰლექ. და დამპალი ციებ. პარიზული კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., სად. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ, ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ტფილისი, 17 მარტი

მთავრობა და სათათბირო.

გვგონია სახელმწიფო სათათბირო არასოდეს არ ყოფილა ისეთ მდგომარეობაში, რანაირშიაც დღეს არის. ვერ ვიტყვით, მეოთხე სათათბირო ოპოზიციონური სათათბიროაო, მაგრამ არც ისეთია, რანაირიც მთავრობას უნდოდა. ამასთანავე ერთად კადეტთა ფრაქციამ პირისპირ დაუყენა სათათბიროს საკონსტიტუციო რეფორმები და უმრავლესობას მოსთხოვა, ეთქვა თავისი გადაჭრილი სიტყვა, აპირებს თუ არა მანიფესტით აღთქმულ რეფორმათა განხორციელებას. მთავრობა და მისი მომხრე დეპუტატები უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ოპოზიცია გარკვეულ პასუხსა თხოულობს, პასუხის მიმცემი კი არავინ არის. ოქტომბრისტები ჩვეულებრივ ორჭოფულ პოზიციაზე სდგანან: თავიანთი მოქმედებით ხან ოპოზიციას აძლიერებენ, ხან მემარჯვენე ელემენტებს. ძირითადი პრინციპიალური საკითხები კი თავს დასტრიალებს სათათბიროს. ამისთანა პირობებში მთავრობაც ვერა ჰბედავს კანონ-პროექტების შეტანას, ვერა ჰბედავს, რადგანაც არ იცის, რა ბედი ეწვევა მათ. ამნაირმა მდგომარეობამ ერთს წერტილზე გაჰყინა სათათბიროს მოქმედება და სიცოცხლე [illegible]

ცხადია ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და მთავრობამაც თავს იდო ისეთი უმრავლესობის შექმნა სათათბიროში, რომელიც მთავრობის კანონ-პროექტების ბედს უზრუნველჰყოფდა. ამ მიზნით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოკოვცევმა მოლაპარაკება გამართა სათათბიროს სხვა და სხვა ჯგუფებთან. მთავრობას ერთი მიზანი აქვს: შექმნას ისეთი უმრავლესობა, რომელიც „იმუშავებს“, როგორც ეს მუშაობა მთავრობასა და კონსერვატორებს ესმით, მაგრამ ძირითად რეფორმებზე კი ხმას არ ამოიღებს. სხვანაირად რომა ვსთქვათ, მთავრობის აზრი ის არის, რომ მანიფესტით აღთქმულ რეფორმებზე სათათბირომ არ იფიქროს. სწორედ ასეთი იყო ტაქტიკა ოქტომბრისტებისა მესამე სათათბიროში. ოქტომბრისტები „მუშაობდნენ“ და ყოველ საკითხს, რომელსაც შეეძლო ცოტაოდნად მაინც განეხორციელებინათ მათს დროშაზე დაწერილი პრინციპები, ჰმარხავდნენ ან დიპლომატიურად გვერდს უხვევდნენ. სწორედ ამიტომაც მესამე სათათბიროში ვერც ერთი ძირითადი რეფორმა ვერ განხორციელდა.

არჩევნებით დამტკიცდა, რომ რუსეთის პროგრესიულ საზოგადოებას ოქტომბრისტების მოქმედება არ მოსწონს. ორს დიდს ქალაქში, სადაც საზოგადოებრივი მაჯის ცემა უფრო ძლიერია, ამომრჩევლებმა კადეტები გაგზავნეს და არა ოქტომბრისტები. ამით ოქტომბრისტების ტაქტიკა დაგმობილი იქმნა. ეხლა ოქტომბრისტებზეა დამოკიდებული, ისევ ძველ გზას დაადგებიან, თუ საკონსტიტუციო ბრძოლის გზას აირჩევენ. მთავრობის განზრახვა კი ის არის, რომ ოქტომბრისტები მარჯვნით გადაჰხაროს, ჩამოაშოროს პროგრესისტებს და ამით სათავეშივე მოჰკლას სათათბიროს საკონსტიტუციო ბრძოლა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კოკოვცევს უნდა სათათბიროს უმრავლესობაში პროგრესისტებიც შევიდნენ, იმ ერთი აუცილებელი პირობით კი, რომ მათ ძირითადი რეფორმების საკითხი არ აღძრან ხოლმე. ადვილად შესაძლებელია მთავრობის სურვილი განხორციელდეს და განსაზღვრული უმრავლესობა შეიქმნას. მაგრამ ეს იქნება უარის თქმა ძირითად რეფორმების განხორციელებაზე, რაც, ალბათ, კვლავ [illegible] დროისთვის უნდა გადაიდოს.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

15 მარტის სხდომა.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს სამი წვრილი კანონ-პროექტი. სასურველად იყო ცნობილი შემდეგი საკანონმდებლო მოსაზრებანი: სამსახურის უფლებათა და ნივთიერ მდგომარეობის გათანასწორება ქალთა და ვაჟთა საშუალო სასწავლებლების მოხელეთა და საქალაქო დებულების შემოღება ახსაბადში.

სავენკო კითხულობს ადგილობრივ თვითმმართველობის და საქალაქო საქმეთა კომისიის მოხსენებას, სასურველია თუ არა ქალაქების საერობო ერთეულად გამოყოფის საკანონმდებლო მოსაზრება. კომისიამ დაადგინა, ქალაქების გამოყოფა დამოკიდებული უნდა იყოს სხვა-და-სხვა პირობებზე: ქალაქის მცხოვრებთა რიცხვზე, საერობო გადასახადების რაოდენობაზე, ქალაქთა უძრავ ქონებაზე, ქალაქისა და ერობის ეკონომიურ მდგომარეობაზე და სხვ. ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ ქალაქების გამოყოფამ ცუდად არ იმოქმედოს სამაზრო ერობის მოქმედებაზე და ხელი არ შეუშალოს ერობის სამეურნეო და საკულტურო მუშაობას.

ვარუნ-სეკრეტი. საჭიროა ზემოდჩამოთვლილ მოსაზრებას ისიც დაემატოს, რომ ქალაქების გამოყოფა საკანონმდებლო წესით უნდა მოხდეს და არა ადმინისტრატიულადაო.

ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა მთავარ-სამმართველოს **უფროსი** აღიარებს, რომ ქალაქების გამოყოფის საკითხი დიდი ხანია, რაც მომწიფდა, მაგრამ იგი განსახორციელებლად ფრიად ძნელია. მთავრობამ დღევანდლამდე ვერ შესძლო ამ საკითხის გადასაწყვეტად ისეთი ფორმა გამოენახა, რომ ერობის ნაყოფიერ მოქმედებისთვის ზიანი არ მიეყენებინა. თუმცა მთავრობა ამ საკითხში საბოლოო გადაწყვეტილებამდე არ მისულა, მაგრამ იგი იმ აზრისაა, რომ ამ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია იმპერიის ყველა ადგილებისთვის საერთო ფორმის შემუშავება. სამინისტრო ამ საკითხს მორიგ საზრუნავ საკითხადა სთვლის და თვითონ კისრულობს შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავებას, თუმცა-ღა წინასწარ არ აქვს გათვალისწინებული რა სახით ჩამოყალიბდება კანონ-პროექტი.

სათათბირომ მიიღო მოსაზრება ვარუნ-სეკრეტის დამატებით და შესამუშავებლად კომისიებს გადასცა.

სათათბირო იხილავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართვას, როდის შემოიტანს მთავრობა ციმბირში ერობის შემოსაღებ კანონ-პროექტს.

ნეკრასოვი. თუმცა ხმებია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობენ ციმბირში ერობის შემოღების საკითხზე, მაგრამ არ ვიცით, როდის შემოიტანენ საკანონმდებლო დაწესებულებებში კანონ-პროექტს და რა გვარი მიმართულება აქვს მის შემუშავებას. დეკლარაციაში მოხსენებული იყო, რომ ციმბირის ზოგიერთ გუბერნიებში ერობას შემოიღებენო. მოლაპარაკეს უსამართლოდ მიაჩნია, მხოლოდ დასავლეთ ციმბირში ერობის შემოღება და აღმოსავლეთისა კი უერობოდ დატოვება. მთავრობის წარმომადგენლის განცხადების მიხედვით, ციმბირში კუდმოკვეცილ ერობის შემოღებას აპირებენ. მოლაპარაკე ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს. დეკლარაციის შემდეგ კაბინეტში ცვლილება მოხდა. შინაგან საქმეთა ახალ მინისტრის შეხედულება ციმბირის ერობაზე ჩვენთვის უცნობია. საკითხის მიღება შეძლებას მისცემს მას თავისი აზრი გამოსთქვას.

მანკოვი. ციმბირში ხალხის მეურნეობა ეცემა, არა-რუსნი იხოცებიან, გზები იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც ციმბირის დაპყრობის დროს იყო. ერობის შემოღება უუსაჭიროესი საქმეა, მაგრამ მთავრობა ამის წინააღმდეგია, რადგანაც ციმბირში თავად-აზნაურობა არ არის.

ვოსტროტინი. მესამე სათათბირომაც აღიარა, რომ ციმბირის უერობოდ დატოვება შეუძლებელია. ჯერ კიდევ რვა წლის წინად უმაღლესი ბრძანებით საჭიროდ იყო ცნობილი ციმბირის მეურნეობაში ძირითადი რეფორმების მოხდენა საზოგადოებრივ ფართე დამოუკიდებლობის დებულებაზე. მაგრამ მთავრობას ჯერაც არ აუსრულებია უმაღლესი სურვილი. გლეხობის ერობას მთავრობა არ ენდობა.

მარკოვი მეორე. ციმბირში ერობის შემოღებისთვის არ არსებობს უუსაჭიროესი პირობები. ციმბირი სუსტად არის დასახლებული, გადასახლება მცხოვრებთა შემადგენლობას ყოველთვის სახეს უცვლის. იმ დრომდე უნდა მოვიცადოთ, სანამ ციმბირში გადასახლება არ იქნება დამთავრებული. ვიდრე ციმბირი სათათბიროში ოქტომბრისტებს მაინც არ გამოჰგზავნის, მანამდე იქ ერობის შემოღება შეუძლებელია.

ძიუბინსკი. მთავარი წოდება, რომელიც რუსეთის ცხოვრებასა ჰქმნის გლეხობა არის, და არა თავად-აზნაურობა, როგორც მარკოვ მე-2-ს ჰგონია; ციმბირში ყველაფერი გლეხების ხელით არის გაკეთებული. მისთვის საჭიროა საგლეხო ერობა და არა თავად-აზნაურული.

სათათბირომ საკითხი მიიღო.

მოსკოვისა და პეტერბურგის ქალაქის უფროსთა სავალდებულო დადგენილების თაობაზე შეტანილ შეკითხვის განხილვა გრძელდება.

მლ. პოპოვი. საჭიროა ხულიგანობასთან საბრძოლველად გამოიცეს კანონი, რომელიც მოეფინება არა მარტო პეტერბურგის ქუჩებს, არამედ მთელ რუსეთს.

ბელიაევი. მთავარი ბოროტება იმაში მდგომარეობს, რომ უკანონო დადგენილებებით ადმინისტრაცია სახელმწიფოს საძირკველს არყევს, ხალხში უკმაყოფილებას იწვევს, რომელიც ხშირად ხულიგანურ ფორმებში ჩამოისხმება ხოლმე.

გელოვანი. საკითხი ფრიად ნათელია: სავალდებულო დადგენილებანი უკანონოდ არის გამოცემული. შეკითხვის მოწინააღმდეგენი ამაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ იმაზე, რომ ხულიგანობა სენია, რომელიც უნდა ამოიფხვრასო. მაგრამ საკანონმდებლო მოსაზრების ავტორნი [illegible]როების წინააღმდეგნი არ არიან: საკითხი მხოლოდ ბრძოლის განხორციელების წესზე და ფორმაზეა. შეკითხვის მიღებით სათათბირო მინისტრთ დაანახვებს, რომ არ შეიძლება კანონის აბუჩად აგდება (ტაში მარცხნივ).

ჩხეიძე. მთავრობა იმ ზომებს იღებს, რაც ხულიგანობის სათავეს არ ეხება. მიზანი ერთია—მოისპოს ხულიგანობის დასაბამი წყარო, წარმოებული ხულიგანობა კი თავის-თავად დაეცემა (ტაში მარცხნივ).

მარკოვი მეორე პროვინციის ცხოვრებას ასურათებს, რაც ხულიგანობის უღელ-ქვეშ ტანჯვას განიცდის. თუმცა მინისტრის ცირკულიარში ეწინააღმდეგება ჩვენს კანონმდებლობას, მაგრამ საქმე ეს არ არის, არამედ აუცილი სარგებლობა, რომელსაც ეს ზომები მოგვიტანს. სათათბირომ შეკითხვები კი არ უნდა შემოიტანოს, არამედ საკანონმდებლო მოსაზრება, რომლითაც რეპრესიები ხულიგანების მიმართ მიაღწევს გაწკეპლასა და სიკვდილით დასჯას. მხოლოდ მაშინ შეიძლება შევაჩეროთ ხულიგანობის ზრდა (ტაში მარჯვნივ).

კამათი შესწყვიტეს. სათათბირომ მიიღო ოქტომბრისტთა წინადადება, რომ შეკითხვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კი არა, შინაგან საქმეთა მინისტრის მიემართოსო.

თვით შეკითხვა 183 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 99-სა, სათათბირომ მიიღო. სათათბირო იხილავს მინის გუბერნატორის უკანონო განკარგულების თაობაზე შეტანილ შეკითხვას.

ჩიხაჩევი. ნაციონალისტები შეკითხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

რაბკოვსკი. მინის გუბერნატორის მოქმედება უკანონო იყო. მილაშევსკი უკანონოდ ჩასვეს ციხეში, ბალევიჩი უდანაშაულოდ დააპატიმრეს.

მლ. მიტროცკი. პოლონელები მშვიდობიანი ხალხი ვერ არის. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ისინი კვლავ ოცნებობენ პოლონეთის სამეფოს აღდგენაზე და ამასთანავე არა მარტო თვის მიწა-წყლის ზღუდეთა შორის, არამედ რუსეთის ტერიტორიის დაპყრობითაც. მთავრობამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს. მილაშევიც და ბალევიჩიც ღირსეულად დაისაჯნენ. გუბერნატორი კანონიერად მოიქცა.

შეკითხვა მიიღეს 146 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 115-სა.

ორი კვირის ვადით კომისიას გადასცეს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართული შეკითხვა, მინის პოლონელ მცხოვრებთა სამშობლო ენის უკანონო დევნის თაობაზე.

სათათბირო იხილავს შეკითხვის სწრაფ განხილვის საკითხს მოსკოვის პოლიციის მიერ 1912 წელს ნოემბერში მოსწავლეებზე და მუშებზე ჩადენილ ძალადობის თაობაზე.

მუხანოვი შეკითხვის სწრაფ განხილვას იცავს და მოსკოვის პოლიციის ძალადობის დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს.

სამოილოვი მეორე შეკითხვის სწრაფ განხილვას იცავს.

შეკითხვის სწრაფი განხილვა უარჰყო სათათბირომ. შეკითხვა კომისიას გადაეცა.

გამოაცხადეს წინადადება, განსახილველ საქმეთა სიაში შეიტანონ შემდეგ სხდომისათვის საკითხი სამხედრო მინისტრისადმი სამხედრო-სამკურნალო აკადემიის განზრახულ რეფორმების თაობაზე.

ნეკრასოვი წინადადებას იცავს და აღნიშნავს, რომ აკადემიაში აღზრდილებმა რუსეთის ჯარს დიდი სახელი მოუხვეჭეს. ეხლა აკადმიას ფრიად სახიფათო მდგომარეობაში აგდებენ. მიღებულმა ზომებმა სამწუხარო შედეგი უკვე გამოიწვია. ამას გვერდს ვერ აუხვევს ვერც სათათბირო, ვერც საზოგადოება. თვით სამხედრო სამინისტროც ჰგრძნობს შეცდომას. ოფიციალური ცნობის ზოგიერთი ადგილები გაკვირვებას იწვევს. ეხლა სამხედრო მინისტრმა საშველად პროფესსორთა კონფერენციას მიჰმართა. ხოლო როდესაც ასეთ ზომებს იღებდა, მაშინ კი არ დაჰკითხებია კონფერენციას.

პურიშკევიჩი. საკანონმდებლო დაწესებულებების მიზანია დაამშვიდოს თავგასული ახალგაზრდობა და არა უფრო აალელვოს და განუხორციელებელი იმედები გაუღვიძოს მას თავისი ვოტუმით.

სათათბირომ წინადადება მიიღო. შემდეგი სხდომა 20 მარტს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სენატორი ე. ა. ვატაცი,** მეფის მოადგილის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში, გუშინ პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **დღეს მწირველნი არიან:** საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ეგზარხოსის ეკლესიაში, გორის ეპისკოპოსი ანტონი—სიონის საკათედრო ტაძარში და ერევნის ეპისკოპოსი პიმენი—ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში.

◆ **ქალაქის ლომბარდისა და სააუქციონო დარბაზის** მოქმედების გაერთიანების საკითხის შესახებ ქალაქის გამგეობამ დაწვრილებითი ცნობები მიიღო რუსეთის 22 ქალაქის გამგეობისაგან. როგორც ცნობებიდან სჩანს, ამ ორ დაწესებულების მოქმედების გაერთიანება საჭირო და სასარგებლოა. მთელი მასალა ქალაქის გამგეობამ ცალკე წიგნად დაბეჭდა და ხმოსნებს დაუგზავნა საკითხის წინდაწინვე შესასწავლად.

◆ 21 მარტს, ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. თ. ჟორდანია **ლექციას** წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „დანაშაული და სასჯელი წარსულსა და აწმყოში“.

◆ დღეიდან ერთს კვირას **აკრძალულია** წარმოდგენებისა, სინემატოგრაფებისა და სხვა გასართობთა გამართვა.

◆ **ქალაქის სასალახოს** აღმაშენებელმა კომისიამ დაასრულა სასალახოს რევიზორთა მოხსენების განხილვა. სარევიზიო კომისიისაგან ამ კომისიას მიცემული ჰქონდა 10 კითხვა სასალახოს შესახებ. ყველა ამ კითხვის პასუხი დაამზადა და შესაფერ ქაღალდს 18 მარტს, წარუდგენს სარევიზიო კომისიას, რომელიც თავის მხრივ მთელ მასალას სასალახოს რევიზიის შესახებ ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

◆ **საბერძნეთის მეფის გეორგის პირველის სულის მოსახსენებლად** დღეს, დილის 11 საათზე, სომეხ ინტელიგენტთა ჯგუფის თაოსნობით ბერძენთა ნიკოლოზის ეკლესიაში პანაშვიდს გადაიხდიან.

◆ **საბირჟო ცნობები.** 16 მარტს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 65 კ., აძლევენ—85 მან. 45 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. აძლევენ—82 მან. 45 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან. 25 კ., აძლევენ—77 მან.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის № 5, შემდეგის შინაარსით: პატარა მხატვარი—სურათი; „დაიჭირეს ბერი მელა“, ლექსი შიო მღვიმელისა; „უმცროსი“—ი. ევდოშვილისა; „წითელი ვაშლი“—ლელო იმნაძისა; „ზაზუნა“ (თარგმ.)—ივ. როსტომაშვილისა.

◆ კვირას, 17 მარტს, შესდგება **სახალხო კითხვები** შემდეგ აუდიტორიებში: 1. ავჭალის აუდიტორიაში წაიკითხავს ქ-ნი ასათიანი—„მელიას თავგადასავალი“; 2. საქიმო საზოგადოების დარბაზში—ქ-ნი ბარნაბიშვილი—„ლომ-კაცი“; 3. ნავთლუღში—ქ-ნი მეძმარიაშვილი „მიწის ძვრა“ და „დედის სიყვარული“.

◆ 15 მარტს, პოლიციის სხვა და სხვა უბანში 17 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **პოლიტეხნიკუმი.** 15 მარტს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში იმ პირთა კრება მოხდა, რომელნიც თანაუგრძნობენ საბურთალოში პოლიტეხნიკუმის აშენების აზრს. კრება, რომელსაც 150 კაცი დაესწრო, მოწვეულ იქმნა გენერალ თ-დ ხიმშიაშვილის თაოსნობით კრების თავჯდომარედ აირჩიეს—ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. ი. საგინაშვილი, რომელმაც დამსწრეთ მიულოცა ასეთ კარგის საქმის დაწყება და გამოსთქვა სურვილი, შეწირულებათა შეკრების საქმე ჩქარა დაასრულონ. ამის შემდეგ ქალაქის პირველ საარჩევნო უბნის ხმოსანმა პ. ა. გოთუამ დამსწრეთ წაუკითხა დაწვრილებითი მოხსენება, სადაც ჩამოსთვალა უპირატესობანი საბურთალოს მიწისა ნავთლუღის მიწის წინაშე. დასასრულ კრებას წინადადება მიეცა, აერჩია [illegible] კომისია, რომელიც იკისრებს მიწისა და ფულის შეწირულებათა მიღებას. კრებაზე გამოირკვა, რომ ამ ჟამად თავად-აზნაურობის სახელობაზე ოფიციალურად დამტკიცებულია 244½ დესეტინა, რომელიც ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირს. კრებამ მოიწონა აზრი შეწირულებათა შეგროვების გაგრძელებისა. დამსწრეებმა ერთხმად სურვილი განაცხადეს, გაიღონ პოლიტეხნიკუმისათვის მასალა, მიწები ქუჩების გასაყვანად, არ დაზოგონ პირადი შრომა და დიდად დაეხმარნენ მდინარე ვერაზე ხიდის გაკეთების საქმეში. დასასრულ კრებამ ვერისა, საბურთალოსი, დიდუბისა და ნაძალადევის მცხოვრებთაგან კომისია აირჩია, რომელსაც დაევალა შეწირულებათა შეგროვება და შესაფერ მოხსენებათა წარდგენა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა და მთავარ საპოლიტეხნიკო კომიტეტისათვის. კომისიაში მოხვდნენ: ნ. ი. საგინაშვილი, გენერალი თ-დი გ. ს. ხიმშიაშვილი, გენერალი გაბაშვილი, ექიმი ს. გძელიშვილი, ქ-ნი ანასტასია წერეთლისა, ბ. ჯაიანისა, ინჟენერი პონდოევი, ა. ნ. ქალანთაროვი, გ. ნ. რამენდიკი, კ. ი. სვიმონიშვილი, მ. ჩაჩანიძე, ი. ნ. მერკვილაძე, მოროზოვი, ბალდანოვი, დვალი, თ-დი ს. თაქთაქიშვილი და ა. თ. ყიფშიძე.

◆ დღეს, 17 მარტს, ქალთა უმაღლეს კურსების ერთ-ერთ აუდიტორიაში შესდგება **საჯარო კრება** ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ ეთნოგრაფიისა, ისტორიისა და ენათ მეცნიერების საზოგადოებისა. ამ კრებაზე მოხსენებებს წაიკითხავენ ბ-ნი სერგეი კაკაბაძე: „როდის სცხოვრობდა ქართველების გამოჩენილი პოეტი შოთა რუსთაველი“ და ბ-ნი ალ. მარკოვი: „რუსებისა და მორდვას ურთიერთობა ისტორიასა და სახალხო პოეზიაში“. დასაწყისი საღამოს სწორედ 8 საათზე. კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** წევრთა წევრთა წლიური კრება მოხდება დღეს სახალხო სახლში. კრება განიხილავს საზოგადოების 1911—1912 წლის მოქმედების ანგარიშს და თანამდებობის პირთ აირჩევს. როგორც ანგარიშიდან სჩანს, საზოგადოების მოქმედება უმთავრესად გამოხატულია სახალხო ლექციების მართვაში რუსულსა, ქართულსა და სომხურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ 1911—1912 წლებში ლექციებს იმდენი ხალხი [illegible]ბოდა, რამდენიც წინა წლებში. 1911 წელს საშუალოდ თითო ლექციას დასწრებია 235 კაცი, ხოლო 1912 წელს—159, თუმცა უკანასკნელ ხანს ლექციებს კითხულობდნენ უფრო გამოჩენილი ლექტორები, ვიდრე წინად. საზოგადოების მოქმედების გაფართოვების ხელის შემშლელ პირობებად უნდა ჩაითვალოს უმთავრესად ნივთიერი ხელმოკლეობა და ამ საქმის მოყვარულ მომუშავეთა სიმცირე. გამგეობა ანგარიშში აღნიშნავს, რომ ქალაქის თვითმმართველობა ხელის შეწყობის მაგივრად საზოგადოების მოქმედებას ხშირად აფერხებდაო. ანგარიშშივე გამოთქმულია საყვედური პრესის მიმართ, რომელიც სახალხო უნივერსიტეტს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს და სახალხო ლექციების გრძელ ანგარიშების დაბეჭდვას საჭიროდ არა სთვლისო. საანგარიშო წლებში საზოგადოების სკოლების საქმე კარგად არა ყოფილა ნივთიერ ხელმოკლეობის გამო. შემოსავლის უმთავრესი წყარო ყოფილა სახალხო სეირნობანი, ანუ რულეტკა, როგორც თვით გამგეობა ამბობს. რადგანაც ფული არ ყოფილა და ვერც უფასო მასწავლებლები უშოვიათ, ზოგიერთ სკოლას მოქმედება შეუწყვეტია. სწავლა არ შეწყვეტილა მხოლოდ ორ ქართულ სკოლაში, ავლაბრის საკვირაო სომხურსა და რუსულ სკოლაში. საზოგადოებას საანგარიშო წელს შეწირულება მიუღია: მანთაშევის მემკვიდრეთაგან 1000 მან., ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან — 100 მან., და სხვა. 1912 წელს მთელი შემოსავალი ჰქონია 2,894 მან. 83 კ., ხარჯი 2,355 მ. აn. 40 კ.

◆ დღეს პ. ი. ზოლოტარევის თავჯდომარეობით იწყება საგუბერნიო და საოლქო **ბეითალ-ინსპექტორების თათბირი**, რომელმაც ღონისძიებანი უნდა შეიმუშაოს საბეითლო დახმარების საქმის გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკასიაში.

◆ **ნოქართა კლუბის** წევრთა საზოგადოების კრებამ კლუბის გამგეობის წევრებად აირჩია: ვ. ა. ათოევი, ი. ი. ბეზრუჩკო, ნ. ა. ათოევი, ა. ვ. დობრინინი, ვ. ნ. პუჩკოვი, ნ. ა. როზენფელდი, რ. ზ. რომანოვი, გ. დ. სტეფანოვი და მ. ბ. ტერ-არუ[illegible] სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩია: მ. გ. სტოლიაროვი, ა. მ. კამენინი და ს. ი. ტერ-გასპაროვი.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 18 მარტისთვის არის დანიშნული. კრებას განსახილველი აქვს 20 საქმე.

◆ დღეს, 17 მარტს, ავლაბრის სახალხო თეატრში **საგანგებო კრებაა** დანიშნული ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველობის წევრთა, რომელთაც უნდა განიხილონ საზაფხულო სეზონისთვის დასის მოწყობის საკითხი. კრება [illegible] შუადღევის სამი საათისათვის [illegible] დანიშნული.

ქუთაისი

◆ შლისელბურგის ციხეში **გარდაიცვალა** პოლიტიკური პატიმარი **ა. მირზაშვილი,** რომელიც ს.-დ. პარტიის წევრობისთვის იყო გასამართლებული და 8 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი. ის გლეხთა მოძრაობის მეთაურად ითვლებოდა. განსვენებული ლექსებსაც სწერდა, ზოგი მისი ლექსი დაბეჭდილიც კი იყო.

◆ 20 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს **ვლადიმერ ნაროუშვილის საქმეს.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ მას 6 წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი შეიარაღებულ თავდასხმისათვის.

◆ 19 მარტს ქუთაისის საგუბერნიო სტუსაღოდან რუსეთის ს[illegible]ტორღო ციხეში ეტაპით **იგზავ[illegible] კოლია საყვარელიძე.** მას შეიარაღებულ თავდასხმისათვის 10 წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი.

◆ ამ მოკლე ხანში ქუთაისში პ. იაშვილის ხელმძღვანელობით გამოვა სალიტერატურო ჟურნალი „ოქროს ვერძი“.

◆ ინჟინერ ფრიკს უკვე დაუმზადებია **გაბრიელის წიგნთსაცავ-სამკითხველოს შენობის გეგმა.** როგორც გადმოგვცეს, სტილი ქართულ ხუროთ-მოძღვრებისაა დაცული. ინჟინერი ფრიკი მარჯვე ოსტატ[illegible] თავის საქმის, მაგრამ გეგმას განხო[illegible]ელებაც სჭირია. როგორც [illegible]ცით, ამ საქმისთვის ექვსას თუმნამდე არის შეგროვილი. ბ. ფრიკის [illegible]ტყვით, შენობა ათას თუმნამდე დაჯდება. საზოგადოება მოვალეა, ეპ. გაბრიელის ხსოვნის აღსანიშნავად ამ საქმეს ხელი შეუწყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთი

◆ როგორც ვიცით, აფაქიძე და შანიძე გუბერნიის მთავრობამ არ დაამტკიცა და განკარგულება მოახდინა ფოთში ხელმეორე არჩევნები დანიშნულიყო. 12 მარტს მოხდა არჩევნები და **ქალაქის** მოურავად 23 ხმით წინააღმდეგ ერთისა **აირჩიეს გ. ჭოჭუა**, ქალაქის გამგეობის წევრად არჩეულ იქნა ს. ხოშტარია, რომელმაც 96 თეთრი და ერთი შავი მიიღო.

ჭიათურა.

◆ **შავ ქვაზე ფასმა** მოიმატა. ამ ჟამათ ფუთი ქვა 7 1/4 კაპ. იყიდება.

◆ 14 მარტს ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაარჩია ყვირილის სადგურის უფროსის თანაშემწის, **მიხეევის საქმე**. მას ბრალდებოდა ნაზაროვის ასულის მკვლელობაში მონაწილეობა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა, ყოველივე ღირსება-უფლების ახდა და ორი წლით და ოთხი თვით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

ბათომი

◆ გუშინ-წინ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს **ეპისკოპოსი ლეონიდი** ბათუმში ჩამობრძანდა. მისმა მეუფებამ პანაშვიდი გადაიხადა სალონიკში მოკლულ საბერძნეთის მეფის გიორგი პირველის სულის მოსახსენებლად.

◆ ქალაქის თვით-მმართველობამ უკვე გამოაცხადა **საჯარო ვაჭრობით** გასასყიდად ის 19 მამული, რომელზედაც დარჩენილი იყო ქალაქის გადასახადი.

სიღნაღი

◆ 9 მარტს, ალაზანს გაღმა, **ყაჩაღები** თავს დაესხნენ მწყემსებს და მოჰკლეს სოფ. ანაგის მცხოვრებნი ვანო ჯანიაშვილი და არსენა თანდაშვილი.

◆ სიღნაღის წიგნის მაღაზიის პატრონი **ივანე შავლიაშვილი**, მანიფესტის ძალით განთავისუფლდა პასუხის გებისაგან. სასამართლოში მიცემული იყო 132 მუხ. I ნაწ. ძალით.

◆ კახეთის რკინის გზის აგენტი აქა-იქ სოფლებში **ფულს ურიგებს იმ მემამულეებს**, რომელთა მიწებზედაც რკინის გზის ლიანდაგი გადადის. საჭიროა, რომ ეს ფული შეტანილ იყოს ან სოფლის ბანკებში, ან სიღნაღის ბანკში, თორემ ან უსარგებლოდ ეწყობათ პატრონებს, ან უბრალოთ დახარჯავენ, ან კიდევ ათასი გვარის შანტაჟისტი და მძარცველი ისარგებლებს მათის ფულით.

◆ როგორც ქიაურიდან გვატყობინებენ, ამ ორი დღის წინად, ღამე **რამდენიმე შეიარაღებული კაცი** დაეცა ნიკო ზედელაშვილის ვაჭრო დუქანს და წაიღეს, რაც მოახელეს.

◆ ხუთშაბათს, 21 მარტს, სოფ. ზბისხევში იკურთხება და დაიწყებს მოქმედებას გუბერნატორის მიერ დამტკიცებული **ყოველ კვირეული ბაზრობა**, ხუთშაბათობით.

სოფლად.

◆ ახალ-სენაკში გაიხსნა **„ნატოჩავის წვრილი კრედიტის საზოგადოება“**, სადაც 300 მიწის მუშა გლეხი ჩაეწერა წევრათ. წევრთა რიცხვი თან-და-თან მატულობს. საწევრო ფული ერთი მანეთი ყოფილა. ამ საზოგადოებას ბათომის სახელმწიფო ბანკმა 3,000 მანეთის მოკლე ვადიანი, ხოლო 5,000 მანეთის გძელ ვადიანი სესხი მისცა. საწევრო ფულიდან 1,000 მანეთამდი შეგროვდა.

ჟურნალისტის დღიური

129.

ისევ პოლიტეხნიკუმზე.

თანდათან ირკვევა, რომ ადვილად შესაძლებელია მომავალი პოლიტეხნიკუმის აშენება მოხერხდეს საბურთალოზე და არა იმ მიყრუებულსა და უვარგის ადგილზე, რომელზედაც აპირებდა აშენებას საუნივერსიტეტო კომიტეტი. საბურთალოს უპირატესობა იმდენად ცხადი და თვალსაჩინოა, რომ ყველას, ვისაც კი ორივე ადგილი დაუთვალიერებია, საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნია. ერთად-ერთი საზრუნავი დაინტერესებულ პირთათვის ამის განსახორციელებლად ის არის, რომ საბურთალოს მიწების გადაცემა პოლიტეხნიკუმისთვის იურიდიულად მოწესრიგდეს. საკამათო და სადავო სხვა არაფერია. მაგრამ ქალაქის მოურავი ხატისოვი, როგორც ეტყობა, სულ სხვანაირად ფიქრობს. იგი ცდილობს დაუმტკიცოს საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის თავმჯდომარეს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს, რომ ავლაბრის საპოლიტეხნიკუმო ადგილს ან სრულიად არავითარი ნაკლულოვანებანი არა აქვს, ან თუ აქვს, ისეთი უმნიშვნელო, რომელთა გამოსწორება ძალიან ადვილია. ქალაქის თავი ხატისოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თავისუფალი ადგილიც მეტია, წყალის გაყვანაც მოხერხდება, ამისთვის სულ რაღაც ოცი ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს ერთდროულად და სხვა. ერთის სიტყვით, ხატისოვის მოხსენებიდანა სჩანს, რომ იგი პოლიტეხნიკუმისთვის საუკეთესო ადგილს კი არ ეძებს, არამედ ცდილობს იგი უსათუოდ ავლაბარში აშენდეს. ჩვენა გვგონია, რომ ის, ვისაც პოლიტეხნიკუმის ბედი აინტერესებს, ამნაირად ვერ შეჰხედავს საკითხს. ამისთვის არსებობს ინტერესი თვით პოლიტეხნიკუმისა. თუ გამოჩნდა ისეთი ადგილი, რომელიც ყოველის მხრით ძველ ადგილზე უკეთესია, ქალაქიც და მისი წარმომადგენელიც სიამოვნებით უნდა მიეგებოს ამ ამბავს. ხატისოვს კი არასგზით არ უნდა დაინახოს საბურთალოს უპირატესობანი და ისევ ავლაბარს ებღაუჭება. არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობს ხატისოვი, მაგრამ, თუ ამ შემთხვევაში უბნის პატრიოტიზმი ალაპარაკებს, ძალიან სამწუხარო უნდა იყოს.

ჩვენის აზრით, ხატისოვის განცხადებას ავლაბრის უპირატესობის შესახებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა საბურთალოს ადგილის შეძენის საქმე იურიდიულად მოწესრიგდეს. როდესაც ეს მოხდება, საბურთალოს უპირატესობა იმდენად ცხადი გახდება, რომ ხატისოვის „მოსაზრებანიც“ ვეღარავის დააჯერებს.

შინაური.

ხმა საღამოს კურსებიდან

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა სექციამ თებერვლის უკანასკნელ დღეებში მოქმედება განაახლა, მოაწყო საღამოს კურსები ვერის მეორე სამოქალაქო სკოლის შენობაში ოლგას ქუჩაზე. საღამოს კურსებზე სიარული ყველას შეუძლიან, განურჩევლად სქესისა და წლოვანობისა. მსურველთ აქვე, სამოსწავლო ოთახებში, ყოველ საღამოობით ასწავლიან წერა-კითხვას; ლექციები კი, ჯერჯერობით, კვირაში სამჯერ არის დანიშნული: საღამოს რვა საათიდან, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.

მსმენელნი მუშები, ხელოსნები და ვაჭრები არიან. საღამოობით თავისუფლდებიან თუ არა სამუშაოდან, მაშინათვე იმედიანად მიეშურებიან ჩვეულებრივ ბინაზე, შორი უბნებიდანაც კი და უკვე ნახევარი სათით წინ, ლექტორის მოსვლამდე, დარბაზში მზად არიან. საუბრის დაწყებამდე ერთმანეთთან ძმურად ბაასობენ. ზოგჯერ ორი ლექტორის მაგიერ ერთი ესწრება, მაგრამ მსმენელნი, დროს მიხედვით ვკმაყოფილდებით და ვიმედოვნებთ, მომავალში ამ შეფერხებას თავიდან ავიცილებთ მცოდნე პირთა საკმაო რიცხვის მოწვევით და საქმის კეთილ მეგობართა დახმარებით. ხსენებული საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, ჩვიდმეტ მარტისთვის მოიწვიოს სახალხო სახლში საზოგადოების წლიური კრება, წარსული და აწმყო წლის ხარჯების განსახილველად. ამავე დღეს მოჰხდება ხელმძღვანელ პირთა არჩევნები. ამ დროს რას ვაკეთებთ მუშები და არა მუშები, უსწავლელები და ნასწავლები? ჩვენდა საუბედუროდ მუშები ჩვენს ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებში ბევრგან არ ვიღებთ შესაფერ მონაწილეობას. ჩვენი პირდაპირი ვალია აქ მაინც მივიღოთ მონაწილეობა, შევიტანოთ წლიური საწევრო გადასახადი, თითო მანეთი, და ამგვარად შევძლოთ იმისთანა პირების არჩევა, რომელთაც საქმის სიყვარულთან ერთად თავისუფალი დროც ექნებათ სამოქმედოდ; მიეცბენ შრომას და მკვიდრ ნიადაგს მოუმზადებენ სახალხო უნივერსიტეტს, რომელშიაც დღევანდელ მსმენელთა ათეულები ას-ათეულებად გარდაიქცევა და მით გამრავლდება ჩვენში შეგნებულ-მომზადებული მუშათა რიცხვი. ნუ დავიშურებთ თითო მანეთს, ნუ დავიზარებთ დასწრებას, ხელი შეუწყოთ დიდ-მნიშვნელოვან განმანათლებელ დაწესებულებას. თუ ეს დაწესებულება საჭიროა მთელი ხალხისთვის, მით უმეტეს ჩვენთვის, ჩვენთვის რომელთაც ცხოვრების უკუღმართო ჩარხის ბრუნვით არ გვეღირსა თავის დროს დავწაფებოდით სკოლაში ცოდნის ანკარა წყაროს. გვერდში ამოვუდგეთ მოძრავ სკოლის გაფართოვებას, მოძრავი და ცოცხალი სიტყვების თაიგულის გაფურჩქვნა-აყვავებას.

ვანო დუშურა—ი.

დაიმსხვრა ჩანგი..

დაიმსხვრა ჩანგი, გულისთქმათა ტკბილად მეტყველი!
დაიმსხვრა ჩანგი, სწორე გზისა მაჩვენებელი!
ეხლა სოფელში უკუღმართად უნდა ვიარო
და სადაც ცრემლი საჭიროა, იქ ვიხარხარო.

ფუჭად ეცდებით დღეის იქით ჩემსა მოლხენას,
ფუჭად მოჰქარგავს სიყვარული გრძნობებით ენას!
მხოლოდ სიკვდილის ცივი კოცნა თუ გამკურნებდა,
მაგრამ ვაი, რომ უკვდავი ვარ, ვით სევდა, სევდა...

ი. მჭედლიშვილი.

ვლ. ალექსი-მესხიშვილი ბაქოში

ბაქოელებმაც აღნიშნეს საყვარელ მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის 30 წლის მოღვაწეობა. როგორც სხვაგან, აქაც ადრევე შეუდგნენ მზადებას. ამ აზრით, წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების აქაურ განყოფილების გამგეობის ინიციატივით, დაარსდა საიუბილეო კომისია.

ძვირფასი სტუმარი ბაქოში ჩამოვიდა 12 მარტს დილით. სადგურზე მიეგებნენ ბაქოს ქართველთა კოლონიის წარმომადგენელნი და ავტომობილით სასტუმრომდე მიაცილეს. მეორე დღეს საღამოთი თაღიევის დიდ თეატრში გაიმართა დღესასწაული.

როდესაც ფარდა აიხადა, სცენაზე ისხდნენ სხვა და სხვა საზოგადოების და დაწესებულების წარმომადგენელნი. ვლ. ალექსი-მესხიშვილი გამოიყვანა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ექიმმა ალ. მაღალაშვილმა. გაჭედილი დარბაზი მხურვალე და დაუსრულებელის ტაშის ცემით მიეგება ძვირფასს იუბილიარს. პირველი სიტყვით მიჰმართა საიუბ. კომიტეტის თავმჯდომარემ. შემდეგ დაიწყო მილოცვები.

მიულოცეს იუბილიარს და ადრესები მიართვეს: 1. წ.-კ. საზოგადოების აქაურმა განყოფილებამ, 2. თათართა წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ „ნიჯათმა“, 3, „სომეხთა კულტურულმა წრემ“, 4. უკრაინელთა საზოგადოებამ „პროსვიტამ“, 5. ბაქოს ქართველ ქალთა წრემ, 6. ქართველ ებრაელთა შორის წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ, 7. ქართულმა სამხატვრო-სალიტერატურო წრემ და „წყაროს“ რედაქციამ, 8. გაზეთ „კა პის“ რედაქციამ, 9. მსახიობმა ქ-ნმა ქეთევან ანდრონიკაშვილისამ, 10. ქართულმა სკოლამ და მოწაფეებმა, 11. რკინის გზის ქართველმა მოსამსახურეებმა, 12. ბაქოს ქართულმა დრამატიულმა წრემ და 13. საიუბილეო კომისიამ.

საჩუქრები მიართვეს: წ.-კ. საზოგადოების განყოფილებამ, ქალთა წრემ, რკინის გზის ქართველმა მოსამსახურეებმა, ქართულმა დრამატიულმა წრემ და ბაქოელმა ქართველმა ვაჭრებმა. ქართული სკოლის მოწაფეებმა დაფნის გვირგვინი მიუძღვნეს, ამასთან სამმა პატარა ბავშვმა ლექსით მიმართა, რამაც დაუსრულებელი ტაში გამოიწვია.

მილოცვა დასრულდა თვით იუბილიარის სიტყვით, რომელმაც ჯერ ქართულად, მერე რუსულად მადლობა გადაუხადა დამსწრეთ პატივისცემისათვის.

შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. ჯერ დადგეს „სამშობლოს“ უკანასკნელი მოქმედება, შემდეგ „ედმონდ კინის“ მესამე მოქმედება. იუბილიარმა ნიჭიერის და მოხდენილის თამაშით, რა თქმა უნდა, აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ვლ. მესხიშვილის გარდა წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ მსახიობი ქეთ. ანდრონიკაშვილისა და დრამატიული წრის სცენის მოყვარენი.

შემოსავალმა ამ საღამოთი ათას მანეთს გადააჭარბა.

15 მარტს მესხიშვილის მონაწილეობით მეორე წარმოდგენას დასდგავენ. ითამაშებენ შილლერის ტრაგედიას „ყაჩაღებს“, ამასთან მესხიშვილი შეასრულებს ფრანც და კარლ მოორების როლებს.

კავკასიის რეფორმები მინისტრთა საბჭოში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სახელმწიფო სათათბიროს დებულების 40 მუხლის ძალით კითხვით მიჰმართა მთავრობას, როდის აპირებს საჭირო რეფორმების განხორციელებას კავკასიაში. თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც იუსტიციის მინისტრს ადგილობრივ დაწესებულებათაგან მიუღია, კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ნაადრევად მიჩნია. გამონაკლისს შეადგენს თერგის ოლქის ზოგიერთი ადგილები, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა კულტურული განვითარება საშუალებას აძლევს მთავრობას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოიღოს. რაიცა შეეხება ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმას, მინისტრს შესაძლებლად მიაჩნია მათი მოხდენა, თანახმად სენატორის რეინკეს მოსაზრებებისა. ეს მოსაზრებანი განსახილველად გაეგზავნა ფინანსთა მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სახელმწიფო კანტროლიორს, კავკასიის ნამესტნიკს, ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარესა და პროკურორს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრის მოსაზრებას დაეთანხმა.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

მოლაპარაკება უმრავლესობის შესადგენად.

სახელმწ. სათათბიროს ზოგიერთმა ფრაქციებმა მოლაპარაკება გამართეს თავისსა და კოკოვცევს შორის სათათბიროში უმრავლესობის შესაქმნელად, მაგრამ ასეთმა ცდამ ჯერ-ჯერობით ვერავითარი ნაყოფი გამოიღო. მოლაპარაკების დაწყებამდე ნაციონალისტების ბელადსა, დეპ. ბალაშოვმა წინადადება მისცა კოკოვცევს, გავაუქმებთ მოსკოვკიევ-ვორონეჟის რკინის გზის გამოსყიდვის საკითხს, თუ ხოლმის გუბერნიის გამოყოფის კანონ-პროექტს მალე მისცემთ კანონის ძალასო. კოკოვცევმა შეთანხმების ამ პირობაზე სრული უარი განაცხადა. ახლა კი ნაციონალისტებს სურთ შეთანხმების მოგვარება უფრო ფართო, პრაქტიკული პროგრამით, მაგრამ მათ ცდას ერთის მხრით აფერხებს ოქტომბრისტების ჟინიანობა, რომელთაც არა სურთ მემარჯვენეთა მონაწილეობით შედგენილი უმრავლესობა, ხოლო მეორე მხრით, თვით მემარჯვენეებშიც ძლიერ ცოტაა ოქტომბრისტების ბლოკის მომხრე, რადგან მემარჯვენეები ამის განსახორციელებლად სათათბიროს პრეზიდიუმის ხელახლად არჩევას მოითხოვენ. 11 მარტს მოხდა ნაციონალისტების ფრაქციისა და ცენტრის შეერთებული კრება, რომელსაც 2 ადამიანი თავმჯდომარეობდა—ბალაშოვი და ვ. ლვოვი. კრებამ სურვილი გამოსთქვა უფრო მჭიდროდ შეკავშირებისა, იმ პირობით კი, რომ კეთილგანწყობილება იქონიონ ოქტომბრისტებსა და მემარჯვენეებთან. ზოგიერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ მთავრობის შემადგენლობა სწორედ ისეთივე დაქსაქსულია, როგორც სათათბიროს ფრაქციები, ამიტომ შეთანხმებაც მოსახერხებელიაო. დაადგინეს, რომ ახლო მომავალში შეჰქმნან ბიურო იმ ფრაქციებისა, რომლებიც მოისურვებენ სათათბიროს უმრავლესობის შედგენას. პროგრესისტების ფრაქციასაც ჰქონდა მსჯელობა ამ საკითხის შესახებ. ფრაქციამ დაადგინა, რომ შეთანხმება მათზე უფრო მარჯვნით მდგომ ფრაქციებთან ყოვლად შეუწყნარებელიაო.

საბერძნეთის ახალი მეფე კონსტანტინე

გიორგი პირველის მოკვლის შემდეგ, საბერძნეთის ტახტზე ავიდა მისი უფროსი შვილი, სპარტას ჰერცოგი, კონსტანტინე.

ახალი მეფე დაიბადა 1868 წლეს, 27 ოქტომბერს. 27 ოქტომბერს 1889 წ. კონსტანტინემ შეირთო ცოლად გერმანიის მეფის ვილჰელმის და, პრუსიის პრინცესა სოფიო. ახალ მეფეს ჰყავს ორი ქალი და სამი ვაჟი. უფროსი შვილი, ტახტის მემკვიდრე გიორგი დაიბადა 19 ივლისს 1890 წელს.

კონსტანტინემ სწავლა მიიღო საბერძნეთში და შემდეგ ლექციებს ისმენდა ლეიპციგისა და ბერლინის უნივერსიტეტში. 1890 წლიდან იგი ასრულებდა საბერძნეთის რეგენტობას მეფის იქ არ ყოფნის დროს. საბერძნეთსა და ოსმალეთის შორის ომი რომ ასტყდა, 1897 წ. კონსტანტინე საბერძნეთის ჯარის მთავარ-სარდლად იყო. 1900 წელს მან მიიღო ახლად დაარსებული თანამდებობა—საბერძნეთის მთელი ჯარის სარდლობა.

ბალკანეთის ომის დასაწყისშივე კონსტანტინემ დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა. იანინის აღებამ კონსტანტინე ეროვნულ გმირად გახადა და ბერძენთა შორის პატივისცემა დაიმსახურა.

სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში

გაფიცვა.

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის სტუდენტთა გაფიცვამ 11 მარტს მშვიდობიანად ჩაიარა. არ იყო არც ლექციები და არც პრაქტიკული მეცადინეობა. სტუდენტები აკადემიაში უფორმოდ მივიდნენ. აკადემიის უფროსის განკარგულებით სასადილო, რომელშიაც კრება მოხდა, დაიკეტა. დაკეტილია აგრედვე ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

აკადემიის პროფესორთა კონფერენცია.

9 მარტს აკადემიის პროფესორთა კონფერენციამ დაადგინა, ნებართვა სთხოვოს აკადემიის უფროსს, საგანგებო კონფერენციის მოწვევისა, რათა აკადემიის საქმის ვითარება განიხილონ და სტუდენტთა მღელვარების დასაცხრობად ზომები მიიღონ. აკადემიის უფროსთან კონფერენციამ გაჰგზავნა დამსახურებული პრ. ილინი. როგორც გავიგეთ, აკადემიის უფროსს თხოვნა შეუწყნარებია. პროფესორთა კონფერენცია ამ მოკლე ხანში მოხდება.

სტუდ. მარკოვინის საქმე.

როგორც „რეჩს“ შეუტყვია, სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი დაწვრილებით გაეცნო სტუდ. მარკოვინის საქმეს; მინისტრს შესაძლებლად უცვნია მარკოვინის საქმის მოსპობა. მარკოვინის საქმის მოსპობასთან ერთად, მინისტრი განკარგულებას გასცემს სამხედრო-სამკურნალო აკადემიიდან დათხოვნილ იქნას მარკოვინი. როგორც ხმა დადის ცნობილი ქველმოქმედი შახოვი სწავლის განსაგრძობად დახმარებას აღმოუჩენს მარკოვინს.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

15 მარტი.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მმართველთა წრეში დიდი მღელვარება გამოიწვია ბრძოლის ველზე მომხდარ ამბებმა. ჯარი უძლურია შეიკავოს მოპირდაპირეთა იერიში სტამბოლზე. მათი მდგომარეობა ფრიად გაჭირვებულია. გუშინ ბულგარებმა ინჯისა და გიზის მხრივ იერიში მიიტანეს. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. ოსმალები თავს დაესხნენ მოპირდაპირეებს და საგრძნობი ზიანი მიაყენეს. ბულგარების იერიშმა ყადი-კიოსის მხრივ აიძულა ოსმალები უკან დახეულიყვნენ. უკანასკნელ ცნობებით ჩათალჯის უმთავრესი სიმაგრეები ოსმალთა ხელშია, თუმცა ჯარი უკან იხევს.

ვენა. „კორესპოდენც-ბიუროს“ ადრიანოპოლიდან ატყობინებენ: ფერდინად მეფე დაუყოვნებლივ სწრაფი მატარებლით გაეშურა ადრიანოპოლისკენ. ქალაქამდინ რომ მივიდა, იქიდან ავტომობილით გენერალ სავოვის და ჩიჩოპეტროვის თანხლებით ქალაქში შევიდა. ოსმალეთის გარნიზონი უკანასკნელად შეეცადა აიფეთქებინა არდის რკინის გზის ხიდი, რაც ერთის მხრივ განახორციელა კიდეც. ფერდინანდი იძულებული იყო გზატკეცილით შესულიყო ქალაქში. მეფემ უთვალავ ტყვეების გვერდით გაიარა. ხალხი მეფეს აღტაცებით ეგებებოდა. მეფე შეილებითურთ გაემართა სამხედრო კლუბში, სადაც შუქრი-ფაშა იმყოფებოდა. ფერდინანდმა მიიღო შუქრი-ფაშა, რომელმაც მეფეს ხმალი გადასცა. მეფემ ხმალი უკანვე დაუბრუნა და ქებით მოიხსენია მისი გმირობა.

სოფია. ადრიანოპოლთან საომარი მოქმედების დაწყებისას, ჩათალჯასთანაც დაიწყო ბრძოლა, რამაც 11, 12 და 13 მარტს გასტანა. ოსმალები ბულგარეთის მოწინავე ჯარს ეწინააღმდეგებოდნენ ქვეითა ჯარის ხუთი დივიზიით, ცხენოსანთა ბრიგადით, რომელთაც დახმარებას მარმარილოს ზღვის ფლოტი უწევდა. ბულგარეთის მოწინავე ჯარმა გაბედულის იერიშით აიღო არნაუ-ქიოლი, ქალაქი ჩათალჯა, ჩეჩელი, ორჰანლი. ოსმალეთის დივიზიები თან-და-თან უკან იწევდნენ მთავარ სიმაგრეებისაკენ. ბულგარებს ჩათალჯის წინანდელი პოზიციები უჭირავს. პირველი და მესამე ლაშქარი ტელეგრაფით არის შეერთებული. 13 მარტს ჩათალჯისა და ბულაირის ბულგართა პოზიციებზე ძლიერი „ვაშა“ ისმოდა ადრიანოპოლის აღების გამო.

სოფია. გაზეთი „მირი“ სწერს: ადრიანოპოლის აღება წარმოადგენს მოკავშირეთა ახალ ზეიმს, განსაკუთრებით ბულგარებისა, რომელთაც გასაკვირველი სიმამაცე გამოიჩინეს. საომარი მოქმედება საოცარი ხელოვნებით სწარმოებდა. ჯარისკაცნი ფარებით შეიარაღებულნი ორმოებში სცვიოდნენ, მავთულის ხლართებს სჭრიდნენ. სიმაგრეები ხიშტების იერიშით აიღეს. გაზეთი სერბიელთა ჯარის გმირობას აღნიშნავს, რომელნიც ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში იბრძოდნენ.

სტამბოლი. მოსული ცნობებით, ბულგარებმა ჩათალჯის ორი სიმაგრე და მარცხენა ფრთა ოსმალეთის ჯარისა შეარღვიეს. ბრძოლა ჩეხმეჯეში სწარმოებს. ყუმბარები ყადეკიოიმდის აღწევს. მთავარი შტაბი სან-სტეფანოში გადავიდა. ახლო-ძახლო სოფლების მცხოვრებნი ოჯახებით სტამბოლისაკენ მიეშურებიან.

სტამბოლი. ბულგარეთის ჯარი მედგრად მიილტვის წინ. ოსმალებს საჩქაროდ გადაჰყავთ ჯარი იზმირიდან ჩათალჯაში. სან-სტეფანოდანაც იქ გაიგზავნა ჯარი. ყველა სამხედრო გემი, რომელიც დარდანელში იმყოფებოდა, სილივრიაში გაემართა, რათა ზარბაზნების დაშენით ბულგარები შეაჩერონ. კერძო ცნობებით ბერძენთა ჯარი ენოსში გადავიდა, რიცხვით 50,000 კაცი, რათა ბულგარებს მიეშველოს ჩათალჯასთან.

სოფია. ადრიანოპოლში ქალაქის მოხელენი დაინიშნა.

სკოპლე. ჯავიდ-ფაშას რაზმმა იერიში მიიტანა სერბიის ჯარზე ელბასანის სამხრეთით. ბრძოლამ განთიადამდე გასტანა. დილის 11 საათზე ოსმალთა ჯარი ძლეულ იქმნა. 12 აფიცერი და 320 ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს. ბულგარებს მოუკლეს 60 ჯარის-კაცი და ორი აფიცერი.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

15 მარტი.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ბინაზე სლავიანთა გამარჯვების აღსანიშნავად გაიმართა სადილი. სადილზე მიწვეულნი იყვნენ ბულგარეთის ელჩი ბობჩევი, საეროვნო კრების თავმჯდომარე დანევი, გენერალი რადკო დიმიტრიევი; დაესწრნენ სათათბიროს წევრნი ნაციონალისტები, ცენტრის წევრნი, ოქტომბრისტები, პროგრესისტები, სლავიანთა მოღვაწენი გუჩკოვის მეთაურობით. პირველი სადღეგრძელო როძიანკოს და რადკო დიმიტრიევისა დაილია.

ვენა. „პოლიტიშე-კორესპონდენც“-ს სოფიელი კორესპოდენტი იტყობინება სარწმუნო წყაროებიდან, რომ მოკავშირეთა შორის სრული შეთანხმება მოხდა დიდ სახელმწიფოთა მიერ შემუშავებულ საზავო პირობების საკითხში. აღმოსავლეთ საზღვრის საკითხში, ბულგარეთი სტრატეგიულის მოსაზრებით მოითხოვს სპროსმიდის საზღვარს.

ცეტინიე. აქ მყოფმა ავსტრიის ელჩმა ჩერნოგორიის მთავრობას მოსთხოვა შეაჩეროს საომარი მოქმედება სკუტართან, ვიდრე სტამბოლიდან ბრძანება არ მოუვა სკუტარის კომენდანტს, გასვლის ნება მისცეს მშვიდობიან მცხოვრებთ.

ბელგრადი. ავსტრიის მოთხოვნილების თაობაზე, მუსულმან-კათოლიკების სარწმუნოების თავისუფლება ჩერნოგიის და სერბიის მიერ დაპყრობილ ადგილებში ევროპის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილიყო. გაზეთი „შტამპა“ სწერს, რომ ამას ვერ მიიღებს სერბიის მთავრობა, რადგანაც ევროპის სახელმწიფოთა მფარველობა არღვევს სერბიის სუვერენიტეტის უფლებას.

პარიზი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ანდრიანოპოლის დამხობამ მოკავშირეთა მდგომარეობის შეცვლასთან უნდა გაადიდოს მათი გამარჯვების ნაყოფიო.

უცხოეთი

ჩინეთი და შეერთებული შტატები.

3 მარტს, როდესაც შეერთებულ შტატების კაბინეთი იხილავდა ამერიკის მონაწილეობის საკითხს ჩინეთის სესხში, ვილსონმა ფრიად საგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისხმო განცხადება შეიტანა. როგორც სჩანს, ახალ პრეზიდენტის არჩევასთან შეიცვლება არა მარტო შეერთებულ შტატთა შინაური ცხოვრება, არამედ გარეშე პოლიტიკაც სხვა ფერს მიიღებს. ამერიკის მთავრობამო,—სთქვა ვილსონმა,—გადასწყვიტა, ძალა არ დაატანოს ბანკირთა ჯგუფს ჩინეთის სესხის გამო მოლაპარაკების საქმეში. ბანკების წარმომადგენლებმა განაცხადეს, მხოლოდ მაშინ მოვკიდებთ ამ საქმეს ხელს, თუ მთავრობა ამას გვირჩევსო. პრეზიდენტმა უარი განაცხადა რჩევის მიცემაზე, რადგანაც სესხის პირობებს არ თანაუგრძნობს და არა ჰსურს პასუხისგება იკისროს. სესხის პირობები, როგორც ეტყობა, ჩინეთის ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას არღვევს. ამერიკის მთავრობას სრულებითაც არ ჰსურს, რომ ჩინეთმა ამ პირობებით აიღოს სესხი, რადგანაც ამას მოჰყვება სხვა სახელმწიფოთა იძულებითი ჩარევა ჩინეთის არა მარტო საფინანსო პოლიტიკაში, არამედ შინაურ ცხოვრებაშიაც; ამერიკის ინტერესები ჩინეთში, პირიქით მოითხოვენ, ახალგაზრდა რესპუბლიკასთან მეგობრულ კავშირს. ამერიკის პრესა შეერთებულ შტატების უარს ჩინეთის სესხში მონაწილეობის მიღებაზე, ისე ჰხსნის, როგორც დასასრულს „დოლარების პოლიტიკისას“. რესპუბლიკანური გაზეთები მკაცრადა ჰგმობენ პრეზიდენტს იმისთვის, რომ მას არ ჰსურს რესპუბლიკის ინტერესები გარეშე ვაჭრობა-მრეწველობის წარმოებაში დაიცვას. ევროპის პრესა კი ექვს სახელმწიფოთა შემადგენლობიდან შეერთებულ შტატთა გამოსვლას, ისე ჰხსნის, როგორც ჩინეთისა და ამერიკის დაახლოვებას, კავშირს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ დღეს ჩინეთ-რუსეთის უთანხმოების დროს, მონგოლეთის საკითხის გამო.

რუსეთი

ილიოდორეს წერილი.

ილიოდორემ ერთს წარჩინებულსა და გავლენიან მეგობარს ასეთი წერილი გაუგზავნა: „ეხლა მსურს ხელი მივყო ჰოგეოპატიის შესწავლას და ამგზით ვემსახურო ტანჯულ კაცობრიობასო. ბნელი, უვიცი ხალხი ძლიერ ჰსაჭიროებს ამას. 22 თებერვლიდან ჟანდარმები და ჯაშუშები მომაშორეს, დარჩნენ მხოლოდ ჩაფრები, რომელნიც თვალ-ყურს მადევნებენ. მე კვლავინდებურად ვოცნებობ, თუ როგორ შეუდგები ხვნა-თესვას და შევუმსუბუქებ ხალხს ტანჯვას ჰოგეოპატიის საშუალებით. მოუთმენლად ველი ჩვენი უგანათლებულესი მამანი როდის შემაჩვენებენ. გულით მინდა გავშორდე გარეგნულადაც“.

ხმები დადის, რომ იქაური მღვდელი გამოსცდის ილიოდორეს და თუ ილიოდორე კვლავ ძველ აზრზე იქნება, მაშინ ეკლესია შეაჩვენებს ილიოდორესო.

ლიჟინის საქმე.

იუსტიციის სამინისტრომ საჩქაროდ დაიბარა უმართებულეს სენატიდან ლიჟინის მთელი საქმის წარმოება და ამასთანავე რეინკეს მოხსენება ამ საქმის თაობაზე. იუსტიციის სამინისტრო დასძენს, რომ ლიჟინის საქმის გარჩევა უნდა სხვა დროისთვის გადაიდოსო. როდის გაირჩევა ეს საქმე გამოურკვეველია. სამინისტრო სხვა მიზეზებს არ ასახელებს თვის განკარგულების გასამართლებლად. საქმის მოთხოვნამ სენატში სხვა და სხვა მოსაზრება დაჰბადა. ზოგსა ჰგონია, რომ სამინისტროს ჰსურს კარგად გაეცნოს ლიჟინის საქმეს, რათა იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე ლიჟინის საქმის მოსპობაზე. ზოგიერთის აზრით კი სამინისტრო სათათბიროსთვის პასუხს ამზადებს ლიჟინის საქმეზე შეკითხვის გამო.

ფინლიანდიის საქმეები.

ფინლიანდიის სეიმსა და გენერალ ზეინს შორის ფრიად განხეთქილება და დამახასიათებელი კონფლიქტი მოხდა. სეიმის ერთ-ერთმა კომისიამ გადასწყვიტა გამოარკვიოს შედეგი ფინლიანდიის ლოცმანთა უწყების „გარუსებისა“, რის შემდეგაც სამსახურიდან გადადგნენ ოფიცრები, ლოცმანთა სამმართველოს მოხელენი და 500 ლოცმანი. ამ მიზნით კომისიამ ნავთსადგურთან ქალაქების ნოტარიუსებს მიჰმართა წარმოედგინათ დავთრებში შეტანილი პროტესტები ლოცმანთა სიმცირის თაობაზე. ადმინისტრაციამ აუკრძალა ნოტარიუსებს ამგვარი ცნობების მიწოდება სეიმისათვის, თუმცა სეიმის კომისიას კანონი ნებას აძლევს ამ გზით შეჰკრიბოს ცნობები.

ოქტომბრისტთა კრება.

ოქტომბრისტთა პარტია მიმდინარე წლის გაზაფხულზე აპირებს მოახდინოს კრება პარტიის სხვა-და-სხვა საკითხის განსახილველად.

საქალაქო არჩევნები.

სმოლენსკის საქალაქო არჩევნებში ორი პარტია იბრძვის—პროგრესისტების და მემარჯვენე-მოხელეებისა. ადმინისტრაციამ აუკრძალა გაზეთებს პროგრესისტების პროგრამის გამოქვეყნება. მემარჯვენეთა პროგრამები კი თავისუფლად იბეჭდება გაზეთებში.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 21 მარტს, საღამოს 8 ნახ. საათზე, ქართულ თეატრში **გიორგი მეფარიშვილი** წაიკითხავს ქართულად **ლექციას „ნების უთავისუფლობა (დეტერმინიზმი)“**. ეს შრომა ბ-ნ გიორგი მეფარიშვილს წაკითხული აქვს რუსულად პეტერბურგში და ქართულად ქუთაისში, სადაც ლექცია მოიწონეს. ლექციის ბილეთები იყიდება დღეიდანვე თეატრის კასაში.

ზუბალაშვილის სახ. სახლი. ხუთშაბათს, 21 მარტს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ნაფ. ვექილის თანაშემწე **გ. ჟორდანია** წაიკითხავს საღამოს 8 ნახ. საათზე (რუსულად) **ლექციას: „დანაშაული და სასჯელი ძველად და ახლა“**. ლექტორი, სხვათა შორის, შეეხება სისხლის სამართლის ზოგიერთ კანონს და ადათს ძველ საქართველოში. ადგილების ფასები სახალხოა: 5—50 კ. ბილეთები უკვე იყიდება სახალხო სახლის კასაში.

ღია წერილი

აგენტებისადმი

გამომცემლობა და ჟურ. ალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ ქართველ მკითხველ საზოგადოებას, რომ აკაკის ნაწერების გამოცემასთან ერთად ჩვენი გამომცემლობა შეუდგა საპატიო მგოსნის **გიორგი ქალადიდელის** (გ. ქოჩაკიძის) **ნაწერების გამოცემას.** წიგნი გამოვა ერთ ტომად, იქნება დაახლოვებით 300 გვ. წიგნში მოთავსებული იქნება მისი დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ლექსები, პოემები და სხ. ნაწერები. მას წაემძღვარება ავტორის ცხოვრების აღწერა—მოგონებანი—იონა მეუნარგიასი, კრიტიკული განხილვა—ივანე გომართელისა, ავტორის სურათი და ფაქსიმილე. წიგნი ეღირება წინასწარ ხელის მოწერით 10 შაურად ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაურად,

გავალებთ რა თქვენ, მ. ხ., ჩვენი გამომცემლობის აგენტობას, დარწმუნებული ვართ ამ კულტურული, მწიგნობრობის გავრცელების საქმის დახმარებას თქვენს ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევთ და როგორც იდეურად, ისე პრაქტიკულადაც ხელს შეუწყობთ. ამ საქმეში თქვენი წვლილის შეტანა შეგვაძლებინებს წინასწარ ხელის მოწერით დაწყებული გამომცემლობა მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ, მდაბიო ხალხში მოვუპოვოთ ნიადაგი და ადგილობრივი აგენტების საშუალებით ხელმისაწვდომად გავხადოთ ჩვენი მწერლობის ნაწერები.

ამიტომ მოგმართავთ და უმორჩილესად გთხოვთ განაგრძოთ ჩვენთან ერთად ამ კულტურულ საქმეში მუშაობა და არ დაიზაროთ ხელის მოწერის მიღება თქვენ ნაცნობ-მეგობრებში როგორც გ. ქალადიდელის ნაწერებზე, ისე სხვა ჩვენ გამოცემებზე.

აკაკის ნაწერების გამოცემის რიგიანი მოწყობით წახალისებული, დღეს გ. ქალდიდელის გამოცემას იმ იმედით შეუდექით, რომ ჩვენი აგენტები დახმარებას თანდათან გაგვიორკეცებენ და ამნაირად მათის შემწეობით მწიგნობრობის გავრცელების საქმეში წესრიგს, სისტემას შევიტანთ. აქ კი გამომცემლობის პრესტიჟისათვის, უპირველეს ყოვლისა, წიგნების შეპირებულ ვადაზე დარიგებას აქვს დიდი მნიშვნელობა. ამიტომ ჩვენის მხრით ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენი ნახელმძღვანელი გამოცემები აღთქმულ ვადაზე გამოვიდეს.

ხოლო თუ დღევანდელი საცენზურო პირობების გამო ჩვენი გამოცემების დარიგება შეგვიფერხდა, როგორც, მაგ. აკაკის II-ე წიგნის დარიგება დაგვიბრკოლდა, რისგანაც დღეს არვინ არის უზრუნველყოფილი,—ამგვარ შემთხვევებისთვის წინდაწინვე ბოდიშს ვიხდით. ყოველ შემთხვევაში ჩვენი გამოცემა დაგვიანებულად მაინც დაურიგდება ხელის მომწერლებს და ამიტომ ფულის დაკარგვის ეჭვი ნუ ექნებათ, ვინც წინასწარ ხელის მოწერით დაიკვეთს ჩვენ გამოცემებს.

გ. ქალადიდელის ნაწერების სტამბვა უკვე დაწყებულია და ას გვერდამდე მზად არის. იგი აპრილის პირველ რიცხვებში დასრულდება და სააღდგომოდ დაურიგდება ხელის მომწერლებს. ამიტომ აგენტებს ვსთხოვ ამ დროისათვის შეგვატყობინონ ხელის მომწერთა რაოდენობა და ხვედრი ფულიც გამოგვიგზავნონ. **ისიდორე კვიცარიძე.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

15 მარტი.

საზღვარ-გარედ

დეიტონი. წყალმა იკლო. წყალდიდობით დაზარალდა შტატები ოგაიო, ინდიანი, დასავლეთი ვირგინია, ნიუ-იორკი, პენსილვანია, კენტუკი, ილინოისი. უკანასკნელ ცნობებით, დაიღუპა 2,000 კაცზე მეტი, უსახლ-კაროდ დარჩა 75,000 კაცი, განადგურდა 15,000 სახლი. რკინის გზის ზარალია 25 მილიონი დოლარი.

რუსეთი.

რიბინსკი. ვოლგაზე ყინულმა 100-ზე მეტი დიდი ნავი მოიტაცა. ბევრი ჩაიძირა. ზარალი დიდია. ადამიანთა მსხვერპლიც არის.

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრმა ნება დართო 26 მარტს ურალის მთის-მრეწველთა კრება მოხდეს.

ჩაუბარებელი დეპეშები

15 მარტისა: ბაქოდან — ვართანაშვილს, არდაგნიდან — ჯორჯაძეს, თელავიდან—ტერ-აბრამოვს, ოდესიდან — სუდოგეიძეს, ვარშავიდან—კობჩიევს, ველისციხიდან—მესხიევს, ხაშურიდან—ბუაჩიძეს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

განცხადებანი

ვინც გაციებულია და ჰსურს ფილტვების დასნეულება თავიდან აიცილოს უნდა მიიღოს ხოლმე
სიროლინ „როშ“.

ისყიდება აფთიაქებსა და ყველა საფთიაქო მაღაზიაში.

მოიკითხეთ უსათუოდ სიროლინ „როშ“, თვისებურ ქარხნის გასახვევით.

მ. 66839 1629

ვადგენ **გეგმებს** და ხარჯთ-აღრიცხვას სამოქალაქო შენობებისას; ვურჩევ მსურველთ მოიჯარადრეებს სხვა და სხვა პირობებით შენობების ასაგებად, აგრეთვე ყოველგვარ მოხელეებს და მასალეულობას შენობებისათვის; ვკისრულობ მამულების დაგირავებას და ყიდვა-გაყიდვასაც.

ადრესი: ერევნის მოედანი, პუშკინის პასაჟი, კაბინეთი რემინგტონზე წერისა, № 25 9—3.
157

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავად. მყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს., საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—[illegible] ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მის[illegible] ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშეისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

პირველი კავკასიური
თესლეულობის დეპო
ლარშე
1872 წლიდან არსებობს.
მიხეილის პროსპექტი № 10.
ჰყიდის ახალ მოსავლის საუკეთესო ღირსების
ნაცად თესლეულობას
საბოსტნოს
ყვავილებისას
მცენარეულისას
ხეებისას და
საუკეთესო საზრდოს
იადონისთვის
გირვ. 25 კაპ.
პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე **უფასოდ ეგზავნებათ.** 1076.

გონორეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**
აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 21238. 1038

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

კვესის
ნაცადი
ბოსტნეულისა
და ყვავილების
თესლეულობა
1913 წლის დასათესად.
პრეისკურანტები უფასოდ ეგზავნებათ.
კვესის-ისა და ამხანაგობ.
თესლეულობის საწყობი:
Михайловская ул. уголъ Семеновской ул. № 31.
1080

1/5

მსოფლიოდ ცნობილი
კრემი კაზიმი
მ. ე. ტ. ა. მორთვაზისა.
ერთად-ერთია მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.
ძირიანად სპობს მზის ნამწვს, ძიძიბებს, ლაქას, ჭორფლს, ნაოჭებსა და პირისახის სხვა ნაკლულევანებას.
მ. 15756 1101



დამტკ. ვაჭრობა-მრეწვ. დეპარტამენტის მიერ, № 4683.

✦ **შემთხვევით იყიდება** ✦
ა. ბოგდანოვის
მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა
ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით 1 მანეთად.
ტფილისს გარედ მცხოვრებთ გაეგზავნებათ 1 მან. 10 კ. წიგნი მოიკითხეთ: სადაც იყიდება ყოველნაირი ქაღალდი საფაბრიკო ფასებში.
Тифлисъ, складъ бумагъ Т-во Сергѣева, Дворцовая ул., д. Саралжева, во дворѣ. 1090

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:
შინაგანი სნეულებანი	**სპექტიორი ბ. მ.** . . .	8½—9½ ს.
	იაშვილი ა. ი. . . .	11—12 ს.
	ლოლობერიძე ბ. მ. . . .	12½—1½ ს.
[illegible]	**გრიგორიანი ა. ი.** . . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½ ს.
[illegible]	**გრიგორიანი ა. ი.** . . .	11—12 ს.
[illegible]	**მიკირტუმოვი** . . .	10 11 ს.
	ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა	11—12 ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½ ს.
[illegible]	**შაპელნიკოვი ბ. ი.** . . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—

ВИНОГРАДНАЯ ВОДКА
ОПТОВ. СКЛАДА
ЗАВОДСК. МАРКА
ВИНА и СПИРТА
ТОРГ. ДОМА
БР. СЕСІЕВЫ и К°
ВЪ
ТИФЛИСЪ.
ФИРМА УДОСТОЕНА ЗОЛОТОЙ МЕДАЛЬЮ НА ПАРИЖСКОЙ ВЫСТАВКѢ

1078

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) **ხიზილალა**
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი ს
მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზი
ლა, (ქიტკა), ორაგული, თარ
ტარაღანა, ლოქო და სხვა. და ა
თვე ყოველ დროს იყიდება მაღა
მოხარშული ლოში, ზურგი,
და ყოველგვარი
შავი ხიზილალა

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.